დიალიზის და თირკმლის ტრანსპლანტაციის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე პირების მატერიალური დახმარების პროგრამა

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

პროგრამა ითვალისწინებს დიალიზის და თირკმლის ტრანსპლანტაციის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული რუსთავში მცხოვრები და რეგისტრირებული მოქალაქეების (შემდგომში - ბენეფიციარი) ტრანსპორტის ხარჯების შემცირების მიზნით დახმარებას (ყოველთვიური მატერიალური დახმარება).

მუხლი 2. პროგრამით მოსარგებლე პირთა წრე და პროგრამაში ჩართვა

1.პროგამით მოსარგებლე შეიძლება იყვნენ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბენეფიციარები, რომლებიც ქალაქ რუსთავში რეგისტრირებული არიან განცხადებით მომართვამდე არანაკლებ 2 წლის განმავლობაში უწყვეტად (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ) და ჩართული არიან დიალიზის და თირკმლის ტრანსპლანტაციის სახელმწიფო პროგრამაში საქართველოს ნებისმიერ ქალაქში და აღრიცხვაზე იმყოფებიან სახელმწიფო პროგრამის განმახორციელებელ სამედიცინო დაწესებულებაში.

2.პროგრამით დადგენილი დახმარების მისაღებად ბენეფიციარი ვალდებულია ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა)განცხადება ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის სახელზე;

ბ)პროგრამის ბენეფიციარის პირადობის მოწმობის ასლი;

გ)პროგრამის ბენეფიციართან ნათესაური კავშირის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი ან წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლი (იმ შემთხვევაში თუ განმცხადებელი არ არის პროგრამის ბენეფიციარი);

დ)დიალიზის და თირკმლის ტრანსპლანტაციის სახელმწიფო პროგრამის განმახორციელებელი სამედიცინო დაწესებულების მიერ კანონმდებლობის შესაბამისად შედგენილი ფორმა №IV-100ა;

ე)ბენეფიციარის საბანკო ანგარიშის ნომერი გაცემული ბანკის მიერ დადგენილი წესით (დედანი);

ვ)საინფორმაციო ბარათი (უკანასკნელი 2 წლის მონაცემებით) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებული სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან (პროგრამის განმახორციელებელი სამსახურის მოთხოვნის შესაბამისად).

3.ბენეფიციარის პროგრამით სარგებლობა დამოკიდებულია მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობაზე პროგრამით დადგენილ მოთხვონებთან.

4.გამონაკლისი ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციასთან დაკავშირებით ვრცელდება იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირებზე, რომელთაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ - ქალაქი რუსთავი.

მუხლი 3. პროგრამის განხორციელების პერიოდი

პროგრამა მოქმედებს 2018 წლის 1-ლი იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 4.დახმარების მოცულობა და პროგრამის განხორციელება

1.პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარებისთვის, რომლებიც აკმაყოფილებენ პროგრამის მე-2 მუხლით დადგენილ კრიტერიუმებს და დიალიზის და თირკმლის ტრანსპლანტაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში აღრიცხული არიან სახელმწიფო პროგრამის განმახორციელებელ სამედიცინო დაწესებულებაში, დახმარება მოიცავს თვეში 60,00 (სამოცი ლარი და 00 თეთრი) ლარს.

2.ბენეფიციარები პროგრამით დადგენილ მატერიალურ დახმარებას მიიღებენ წარმოდგენილ საკუთარ საბანკო ანგარიშზე ყოველთვიურად თანხის დარიცხვით.

3.პროგრამით დადგენილი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემდეგ პროგრამის ბენეფიციარების სია (მონაცემები - რეგისტრაციის მისამართი) ყოველთვიურად შესაბამისობაში მოდის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებული სსიპ "სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს" მიერ მოწოდებულ რეესტრთან. იმ შემთხვევაში თუ ბენეფიციარის მონაცემების, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებული სსიპ "სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს" მიერ მოწოდებულ რეესტრთან", გადამოწმების შედეგად ვერ დადგინდა მისი რეგისტრაციის უწყვეტობა, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური უფლებამოსილია პროგრამის ბენეფიციარს მოსთხოვოს საინფორმაციო ბარათი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებული სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან.

4.ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების გადამოწმების შემდეგ თუ ბენეფიციარი აღარ აკმაყოფილებს პროგრამით დადგენილ კრიტერიუმებს მას უწყდება პროგრამით დადგენილი დახმარება.

5.ბენეფიციარი ვალდებულია 2018 წლის ყოველი კვარტლის დასრულებისას თვის 25 რიცხვამდე წარმოადგინოს განახლებული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ №IV-100ა. აღნიშნული დოკუმენტის წარმოუდგენლობის შემთხვევაში ან თუ წარმოდგენილი დოკუმენტით დასტურდება მოსარგებლის მიერ სამედიცინო მომსახურების პროცედურის განუხორციელებლობა ბენეფიციარს უწყდება პროგრამით დადგენილი დახმარება.

6.ანგარიშსწორებას ახორციელებს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურის მიერ მიწოდებული დოკუმენტაციის საფუძველზე.

მუხლი 5. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტის წყაროს წარმოადგენს ადგილობრივი ბიუჯეტი. პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 36 000,00 (ოცდათექვსმეტი ათასი ლარი და 00 თეთრი) ლარს, რომელიც კვარტალურად გადანაწილებულია შემდეგნაირად:

ბიუჯეტი	36 000,00 ლარი

I კვარტალი	9000,00 ლარი
II კვარტალი	9000,00 ლარი
III კვარტალი	9000,00 ლარი
IV კვარტალი	9000,00 ლარი

მუხლი 6. პროგრამის შედეგი

პროგრამის განხორციელებით უზრუნველყოფილი იქნება ქალაქ რუსთავში მცხოვრები და რეგისტრირებული პროგრამის მე-2 მუხლით განსაზღვრული ბენეფიციარებისთვის დიალიზის და თირკმლის ტრანსპლანტაციის სახელმწიფო პროგრამით დადგენილი მომსახურების უწყვეტად მისაღებად ტრანსპორტის ხარჯების შემსუბუქება.

მუხლი 7. პროგრამის შემდგენი და მის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სამსახური

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური.

ნინო ქვირია

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური
მომსახურების სამსახურის ხელმძღვანელი